07-23/2

NOVATEC
INTERNATIONAL

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

გაცნობებთ, რომ შპს „ნოვატეკ ინტერნეიშენალ“ ქ. თბილისში, სამგორის რაონში, გივი ამილახვარის ქუჩა N17ბ-ში მდებარე მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.19.18.003.132) გეგმავს რადიოფარმაცევტული საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებას. ხსენებული საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია ისრაელის წამყვან სამედიცინო-ტექნოლოგიური კომპანია Elsmed Healthcare Solutions ერთად, ბელგიურ კომპანია IBA-სთან (Ion Beam Applications S.A.) თანამშრომლობის საფუძველზე.

დაგეგმილი საქმიანობა, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 6 პუნქტის 6.2. ქვეპუნქტის მიხედვით, წარმოადგენს სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობას.

გამომდინარე ყოველივე ზემოაღნიშნულიდან, შპს „ნოვატეკ ინტერნეიშენალ“-ის მიერ 2023 წლის 06 ივნისს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი იყო (შემოსვლის ნომერი 5115) რადიოფარმაცევტული საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის ანგარიში თანხმლები დოკუმენტაციით.

გთხოვთ შეწყვიტოთ 2023 წლის 06 ივნისს შპს „ნოვატეკ ინტერნეიშენალ“-ის მხრიდან მოწოდებულ დოკუმენტაციასთან დაწყებული ადმინისტრაციული საქმის წარმოება.

ამასთანავე, წარმოგიდგენთ რადიოფარმაცევტული საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განახლებულ ანგარიშს და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

წინამდებარე წერილს თან ერთვის:

- შპს „ნოვატეკ ინტერნეიშენალ“-ის რადიოფარმაცევტული საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განაცხადი;
- საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში;
- დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია და დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS კოორდინატები shp ფაილების სახით;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ნოვატეკ ინტერნეიშენალ“-ის რეგისტრაციის შესახებ.

პატივისცემით,

გიორგი ღლონტი

შპს „ნოვატეკ ინტერნეიშენალ“-ის

გენერალური დირექტორი

NOVATEC INTERNATIONAL LLC

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
„21“ 06 2023
№ 5716

Novatec International LLC, Taxpayer ID 406358908
17B Givi Amilakhvari Street, Tbilisi, Georgia
Tel.: +995 595 110101, info@novatec.ge, www.novatec.ge

შპს "ნოვატეკ ინტერნეიშენალ" ს/კ 406358908
გივი ამილახვარის ქუჩა 17ბ, თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 595 110101, info@novatec.ge www.novatec.ge